ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3846481

ნომერი: AR1578478

თარიღი : 19.02.2018

გაცემის თარიღი : 01.03.2018

გაცნობის თარიღი : 04.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკ. წერეთლის გამზირი , N 149 , მდ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე , დიღმის ხიდიდან ქსნის ქუჩისკენ , ჩასასვლელ გზასთან ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- იგორ გაბაიძე პ/ნ 01025009248
- დიდი დიღომი პეტრიწის 4ა

ორგანიზაცია:
- შპს ზოდი პლიუსი კოდი: 202424313

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით კედლის დეკორატიული გაფორმება შესაძლებლად არ მიაჩნია. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული დეკორატიული გაფორმების მხატვრულ ვიზუალური ელფერის და გაბარიტული ზომების მეტად დახვეწილი, სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის ნახატების განთავსება. შესაბამისად წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი გაბარიტული ზომების მითითებით.

ამასთან მოგახსნებთ რომ მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში საჭიროა განმარტოთ სამსახურის მიერ AR1460460 და AR1496640 განცხადებებით შეთანხმებული სარეკლამო აბრების თაობაზე ინფორმაცია, გაითვალისწინეთ რომ შესაძლებელია ზემოაღნიშნული განცხადებების ძალადაკარგულად გამოცხადება.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.